კვირა, 9 ივლისი 1917 წ.

ფასი 10 კაპ.

# ბრძოლა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაზეთი ჯერ-ჯერობით გამოვა კვირაში ერთხელ. კორრესპონდენციები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Нерсесовская ул. № 3, стар. армянская семинарія.
გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 2 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 20 კ., 1 თვით 40 კ.
განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 10 კ.

№ 6 — რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (მუშმრავლესთა) თბილისის კომიტეტის ორგანო — № 6

## მუშებო მუშა-ქალებო, სალდათებო და ყველა მშრომელნო,

თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნები

## ხმა მიეცით რევოლიუციონურ პროლეტარიატის წარმომადგენლებს, ს.-დემ. ინტერნაციონალისტებს-ბალშევიკებს

### ემზადეთ საქალაქო არჩევნებისთვის

ამხანაგებო!

მუშებო, სალდათებო, მოქალაქენო, არჩევნების დღე გვიახლოვდება. თქვენზეა დამოკიდებული: გეყოლებათ წარმომადგენლები ქალაქის საბჭოში, თუ არა!

ყველამ ერთად მუშაობას შეუდგეთ. ერთი წუთითაც დაყოვნება კი მტერს აძლიერებს!

მთელი ჩვენი ძალ-ღონე, მთელი ჩვენი საქმიანობა, დრო და მოცალეობა რევოლიუციის გამარჯვებას, დემოკრატიის ხელში ძალა-უფლების გადასვლის საქმეს უნდა შევწიროთ!

---

ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული საარჩევნო კომიტეტის (ბალშევიკებ) ბინა მოთავსებულია ამხ. შავერდოვის სადგომში—კოჩუბეევსკაიას ქ., სახ. № 20. მდივანი ღებულობს 8 ნახ. — საათ. დილით, 5—7 ს. საღამოს. ტელეფ. 16—80.

---

პოდ-რაიონული კოლექტივი მე-9 სამილიციო ნაწილისა რ. ს.-დ. მ. პ. (მეუმრავლესეებისა) ქ. თბილისში მართავს [illegible] 9 ივლისს 6 საათ. საღამოთ

## მიტინგს.

**დღის წესრიგი:** 1) საქალაქო არჩევნები, 2) მიმდინარე მომენტი.

ადრესი: სომხების სემინარიის ახლო, რკინის გზის გადაღმა.

---

### რევოლიუციის ახალი საფეხური.

ტელეგრაფის ცნობით პეტერბურგში დიდი მნიშვნელობის ამბები ხდება. 3—4 ივლისს ხალხმა და ჯარმა მოახდინა დიდათ მნიშვნელოვანი დემონსტრაციები. დემონსტრანტების ერთი ნაწილი შეიარაღებული გამოვიდა. მოხდა შეჯახება, რასაც შედეგათ რამდენიმე დახოცილი და ასამდე დაჭრილი მოყვა. დემონსტრაციის მიზანია: 1) კონტრ-რევოლიუციის და მისი მეთაურის, ბურჟუაზიის ალაგმვა და 2) მოთხოვნა, რომ დემოკრატიის რევოლიუციონურ ორგანოებს (მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოები) მიერ სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩაგდება.

მოძრაობის საბაბია სამინისტროს კრიზისი. უკრაინის, ფინლიანდიის, აგრარული, სასურსათო და სხვა მნიშვნელოვან კითხვების გარშემო ატეხილ დავის გამო სამინისტროდან გავიდნენ კადეტების ყველა წარმომადგენელნი, ნეკრასოვს გარდა, რომელიც ამ პარტიიდან უკვე გამოვიდა.

კითხვა დადგა: როგორ გადიჭრას ეს კრიზისი. დემოკრატიის არსებული ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები სხვადასხვა ნაირათ სჭრიან კითხვას. ერთნი ამბობენ: საჭიროა ყველაფერი ჩვეულებრივათ დარჩეს, ე. ი. გასული მინისტრების მაგიერ მოწვეულ იქნან ახლები იმავე პარტიიდან. მეორენი მოითხოვენ კითხვის გადადებას მანამდე, სანამ საჩქაროთ მოწვეულ იქნება მუშ. ს. და გლეხ. საბჭოების ახალი სიეზდი, რომელიც გადასწყვეტს კითხვას, თუ ვის ხელში გადავიდეს ძალა-უფლება.

მესამე მიმდინარეობა რევოლიუციონური სოციალდემოკრატიის მეთაურობით მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ ხელში აიღოს მთელი ძალა უფლება ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც აირჩიეს სრულიად რუსეთის საბჭოების სიეზდზე.

აი ასეა დაყენებული ამ წამში რევოლიუციის უდიდესი კითხვა—სახელმწიფო ძალა-უფლების კითხვა.

ასეთია მის გარშემო ატეხილი დავა. როგორ გადაიჭრება ეს კითხვა, რით გათავდება ეს დავა, დემოკრატიის ორ ბანაკს შორის ატეხილი?

რევოლიუციონური სოციალდემოკრატია თავიდან ამბობდა, რომ რუსეთის დიდი რევოლიუციის საბოლოოთ გასამარჯვებლათ და იმპერიალისტური ომის საჩქაროთ შესაწყვეტათ აუცილებლათ საჭიროა პოლიტიკური ძალა-უფლების რევოლიუციონური ხალხის ხელში გადასვლა. ეს ძალა-უფლება უნდა იყოს იმის ხელში, ვინც რევოლიუციას მეთაურობს. რევოლიუციის მამოძრავებელი ძალა მხოლოთ ორი კლასია: პროლეტარიატი და ღარიბ ღატაკი გლეხკაცობა. მხოლოთ ამ ორი კლასის მჭიდრო პოლიტიკურ კავშირს, სახელმწიფო ძალა-უფლებით აღჭურვილს, შეუძლია რევოლიუციის სრულ გამარჯვებამდე მიყვანა. მესამე კლასი კი, ე. წ. „პროგრესიული“ ბურჟუაზია არის მხოლოთ კონტრ-რევოლიუციონური ძალა, რომელიც ყოველი საშვალებით ცდილობს რევოლიუცია შუა გზაზე შეაჩეროს, რომ განახლებული რუსეთის ერთად ერთი ბატონ-პატრონი მხოლოთ იგი იყოს. რევოლიუციონურ დემოკრატიას მხოლოთ იმ შემთხვევაში შეუძლია გაიმარჯვოს, თუ ის სასტიკ და შეურიგებელ ბრძოლას გამართავს კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

რევოლიუციონური სოციალდემოკრატია თავიდანვე ამბობდა, რომ თებერვალ-მარტის რევოლიუციაში რევოლიუციონურ ხალხის ხელმძღვანელ ორგანოებმა საბჭოების სახით დიდი შეცდომა მოახდინეს, როცა სრულიად უბრძოლველათ და თავის ნებით სახელმწიფო ძალა-უფლება გადასცეს კონტრ-რევოლიუციონურ სამინისტროს.

ცხოვრებამ მრავალჯერ დაგვანახვა ბალშევიკების პოლიტიკური პროგრამის სრული სისწორე: ყველა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ სამინისტროსი გამსჭვალული იყო კონტრ-რევოლიუციონური და იმპერიალისტური მისწრაფებით; გაიხსენეთ ამ მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა: იმპერიალისტური ნოტები მოკავშირე სახელმწიფოების მიმართ, კონტრ-რევოლიუციონური მოწოდებები ჯარისადმი და სხვ.

პეტროგრადის რევოლიუციონერმა პროლეტარიატმა და ჯარმა არაერთხელ დაგმო და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ეს სამინისტრო თავის დემონსტრაცია-მანიფესტაციებით.

როცა წმინდა ბურჟუაზიული სამინისტრო შეიცვალა ე. წ. კოალიციონურ სამინისტროთ, როცა 10 ბურჟუა მინისტრს შეემატა ექვსი სოციალისტი, პოლიტიკა, როგორც საშინაო, ისე საგარეო არსებითად სრულიად უცვლელი დარჩა.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იგივე რევოლიუციონური ხალხი პეტროგრადის პროლეტარიატის და ჯარის მეთაურობით ძველებური უნდობლობით უყურებდა ამ მთავრობას და ყოველ მის კონტრ-რევოლიუციონურ და იმპერიალისტურ ნაბიჯებს ებრძოდა.

კოალიციონურ მთავრობისადმი უნდობლობა და უკმაყოფილება მკაფიოთ გამოიხატა 18 ივნისის დემონსტრაციის დროს, როცა ნახევარი მილიონი პროლეტარი (მუშა, სალდათი და მატროსი) რევოლიუციონურ სოციალდემოკრატიის მოწოდებით და მეთაურობით პეტერბურგის ქუჩაზე გამოვიდა და მრისხანეთ მოითხოვა ბურჟუაზიული მინისტრების გადაყენება და ძალა-უფლების დემოკრატიის ხელში გადასვლა.

18 ივნისმა ყველას დაანახვა, რომ ეს ლოზუნგი იმდენათ მომწიფდა, გამაგრდა და ფეხი გაიდგა მოწინავე დემოკრატიაში, რომ მისი დაუყონებლივი განხორციელება ისტორიულათ აუცილებელი შეიქმნა.

18 ივნისმა ყველას დაანახვა ბალშევიკების პოლიტიკური ხაზის უეჭველი სისწორე.

18 ივნისმა ყველას დაანახვა, რომ მებრძოლი დემოკრატია მხოლოთ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ ის საესებით გადმოვა ამ პოზიციაზე.

მოწინავე პროლეტარიატის და არმიის უკმაყოფილებამ კოალიციური სამინისტროს პოლიტიკით უკიდურეს წერტილს მიაღწია, როცა უკანასკნელმა „სოციალისტ“-მინისტრებთან ერთად ფართო შეტევა გამოაცხადა და მით ხელახლა გააღვივა იმპერიალისტური ომი, რომელიც მთელი სამი თვის განმავლობაში რევოლიუციის წყალობით თითქმის სრულიად შეჩერებული იყო ჩვენ ფრონტზე. ისევ დაერივნენ ერთმანეთს ასი ათასობით რუსეთის და ავსტრია-გერმანიის პროლეტარები ერთმანეთის საბოლოოთ გასანადგურებლათ. ეს შეტევა მოასწავებს ინგლის-საფრანგეთის და რუსეთის იმპერიალიზმის სრულ გამარჯვებას. ეს ცოტაა. იგი მოასწავებს ობორონცების სრულ დამორჩილებას იმპერიალისტურ ბურჟუაზიის მიერ. ამ შეტევით დიდ საფრთხეში ჩავარდა რევოლიუცია. იმპერიალისტური ომის გახანგრძლივება საფრთხეს უმზადებს რევოლიუციას, რევოლიუციის გამარჯვება კი ბოლოს უღებს ომს. ერთის გაგრძელება იწვევს მეორის დასუსტებას და პირ-იქით.

დღევანდელი სამინისტროს კრიზისი და მის გარშემო ატეხილი დავა დემოკრატიაში უნდა გადაწყდეს მემარცხენე ბანაკის სასარგებლოთ, რომელიც დარაზმულია რევოლიუციონურ სოციალდემოკრატიულ დროშის გარშემო. ჩვენ გვწამს რევოლიუციის გამარჯვება, რისთვისაც აუცილებელია ბალშევიკური პოზიციის მებრძოლი დემოკრატიის უმეტესობის პოზიციათ გადაქცევა. დღეს უკვე შეუძლებელია ძალა-უფლების კითხვის გადადება უნდათ თუ არ უნდათ, „ობორონცები“ იძულებული არიან დღეს ძალა-უფლება ხელში ჩაიგდონ, თუ მთლათ დამონებული არ არიან იმპერიალისტური ბურჟუაზიის მიერ. ან მემარცხენე დემოკრატიასთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ; ან იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან ერთად მემარცხენე დემოკრატიის წინააღმდეგ. მესამე გზა არ არსებობს. ასე დააყენა კითხვა რევოლიუციონერმა ავანგარდმა პეტროგრადის მოწინავე პროლეტარიატის და რევოლიუციონურ არმიის სახით.

რა გზას დაადგება დემოკრატიის ცენტრი, სადაც გაბატონებულია მენშევიკურ-ესერული ბლოკი? ამას ხვალინდელი დღე დაგვანახვებს.

ჩვენი ვალია, რევოლიუციონურათ მივესალმოთ პეტერბურგის პროლეტარიატის და ჯარისკაცების გმირულ და მწყობრ გამოსვლას, რომელთა დროშაზე სისხლის ასოებითაა დაწერილი: „ძირს ომი, ძირს კონტრ-რევოლიუცია, ძირს იმპერიალიზმი! გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, გაუმარჯოს სოციალიზმს“!

რევოლიუციის პირველ საფეხურს, როცა სახელმწიფოს ბურჟუაზია ედგა სათავეში, ბოლო ეღება. დგება მეორე საფეხური, როცა ძალა-უფლება ხალხის ხელში გადადის. პირველი ეტაპი იცვლება მეორე ეტაპით. მეორე ეტაპს აუცილებლათ მოჰყვება მესამე. ეს იქნება პროლეტარული რევოლიუცია, რომელიც აღგვის პირისაგან ქვეყნისა კაპიტალისტურ წყობილებას.

ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ რევოლიუციის მეორე საფეხურზე გამაგრებას.

ბალშევიზმი იმარჯვებს, „ობორონცობა“ კოტრდება. მით უკეთესი რევოლიუციისათვის.

თ—რე.

---

## პოლიტიკური მიმოხილვა

**სიეზდები, დემონსტრაცია, ფრონტზე შეტევის დაწყება...**

რუსეთის დიდი რევოლიუციის დიად მსვლელობაში ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და მასიური მოვლენა—ეს მრავალრიცხოვანი სიეზდებია.

აქ იკრიბებიან მთელი კლასის წარმომადგენლები და რევოლიუციური მოძრაობით წარმოშობილ კითხვებს თავისი კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით სწყვეტენ.

აქ იხატება მთელი კლასი ან საზოგადოებრივი ჯგუფი, როგორც ისტორიულათ მომქმედი. კოლექტიური აზროვნება, საქმიანობა, ბრძოლა—აი რა არის წინ წამოყენებული. და როცა ამ თვალით გადავხედავთ წარსულ თვეებში გამართულ სიეზდებს, უპირველესათ უნდა ვიკითხოთ ვინ, რომელი საზოგადოებრივი კლასები გამოდიან ისტორიულ ასპარეზზე რევოლიუციონურ ბრძოლისთვის?

ყველასგან აღიარებულია, რომ რუსეთი უმეტესათ გლეხთა ქვეყანაა.. ას მცხოვრებში ასიდან თითქმის ოთხმოცი გლეხკაცია. ამიტომ საკვირველი არაა, თუ დღეს თავისი სიმრავლით მაინც დიდ ყურადღებას იქცევს ამ კლასის წარმომადგენელთა სიეზდი.

მაისის მიწურულში პეტროგრადში სრულიად რუსეთის გლეხთა სიეზდი გაიმართა და 20—26 ივნისს, თბილისში ამიერ-კავკასიის გლეხთა სიეზდი მოხდა.

დაიი, აქ მეტათ საგულისხმო ფაქტი გამომჟღავნდა: იქაც და აქაც „სოციალისტური“ პარტიების გავლენა მეტათ ძლიერია, იმდენათ ძლიერი, რომ საკუთარ გლეხურ იდეოლოგიას გასავალი აღარ აქვს. მაგრამ პეტროგრადის სიეზდსა და ამიერ კავკასიის გლეხთა წარმომადგენლების ყრილობას შორის დიდი, მეტათ საყურადღებო განსხვავებაც არის. იქ თუ დიდი უმრავლესობა, თითქმის მთელი სიეზდი სოციალისტ-რევოლიუციონერების ხელში იყო, აქ, ჩვენში სოციალდემოკრატიის გავლენა სჭარბობდა.

პეტროგრადში გლეხთა სიეზდმა ესერების ხელმძღვანელობით «მიწის სოციალიზაცია» მიიღო, ხოლო ჩვენში—მენშევიკ-სოციალდემოკრატების „მუნიციპალიზაცია“ ღიარეს. ამავე დროს საყურადღებოა, რომ იქაც და აქაც გლეხობის მთავარი მასსა კერძო მესაკუთრის „ფსიხოლოგიით“ არის გამსჭვალული.

რას ნიშნავს ყველა ეს?

უპირველესათ იმას, რომ გლეხობას, როგორც გარდამავალ წვრილ ბურჟუაზიულ კლასს, საკუთარ იდეოლოგიას მოკლებულს, შეუძლია ამა თუ იმ პარტიას გაყვეს, მახლობელ „მონათესავე“ კლასის თვალსაზრისზე დადგეს და ასე თავისი მოქმედებით საერთო სახალხო პოლიტიკის განხორციელებას ხელი შეუწყოს.

აღმოჩნდა, რომ გლეხკაცობა დამოუკიდებელ მტკიცე პოლიტიკის წარმოების ნიჭს მოკლებულია; ის ემორჩილება სხვის გავლენას. თუმცა საქმეში მას კითხვის გადამჭრელი როლი შეუძლია შეასრულოს. თუ ხელჩართულ რევოლიუციონურ შეჯახების დროს რევოლიუციონურმა შეიარაღებულმა ჯარმა თებერვლის დღეებში უმთავრესი როლი შეასრულა, ახლა მოსალოდნელია რუსეთის გლეხკაცობას დამფუძნებელ კრებაზე საერთო რევოლიუციის აწინდელ და მომავალ მსვლელობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა დაურჩეს. საკითხია მხოლოთ: ვინ, რომელი პარტიის, რომელი საზოგადოებრივი კლასის, გინდ ჯგუფის იდეოლოგია მოახდენს მასზე ამ რევოლიუციონურ მომენტში უდიდეს გავლენას?

ორმა ზემოხსენებულმა სიეზდმა დაგვანახვა, რომ დღემდე მასზე გავლენას ახდენს ორი პარტია: ესერები და მენშევიკები.

მართალია, ამ ორ პარტიას აქვს გლეხებთან, როგორც წვრილ ბურჟუაზიულ კლასთან, ნათესაობა და კავშირი, რითაც მათი გავლენა აიხსნება; მაგრამ ის გარემოება, რომ გლეხკაცობა დღეს ერთ მთელს არ წარმოადგენს, არამედ ის დაშლილ-დარღვეულია საკუთრებისა და შრომის დაქირავების მიხედვით რამდენიმე ნაწილათ: არის გლეხობა მდიდარი, საშუალო შეძლების და ღარიბ-ღატაკი. და აი ეს უკანასკნელი ნაწილი, რომელიც რიცხვით ყველა დანარჩენ ნაწილებს ერთად აღებულს სჭარბობს და რომელშიაც დიდი, ღრმა უკმაყოფილება დაგროვებული, გლეხობის მთავარ რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენს და ამასთან იგი თავისი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობით და მაშასადამე სულისკვეთებით სამრეწველო პროლეტარიატს უფრო უახლოვდება, ვიდრე სხვა რომელიმე კლასს. აქედან გლეხობაში არის ნიადაგი მესამე პარტიის გავლენისათვისაც; და ეს მესამე პარტია პროლეტარიატის პარტიაა.

პოლიტიკურათ შეგნებულ-გაწვრთნილი პროლეტარიატი, აი ვინ უძღვის წინ დღევანდელ დიად რევოლიუციას და ვინ უნდა ჩაუდგეს სათავეში გლეხთა მოძრაობას. და თუ გლეხები ესერების და მენშევიკების პოლიტიკა-ტაქტიკას გზებზე შეთვისებას ახერხებენ, სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი მალე პროლეტარიატის ჭეშმარიტ პარტიის, ბალშევიკების, პოლიტიკა-ტაქ-

ტიკას შეითვისებენ და მის რევოლიუციონურ ლოზუნგებს თავის ლოზუნგებათ გაიხდიან. ამის ნიშნებს და უტყუარ საბუთებს ჩვენ პეტროგრადის მეორე, კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი, ვიდრე ზემოხსენებული, სიეზდი გვაძლევს. ეს არის სრულიათ რუსეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოების სიეზდი.

ეს სიეზდი ივნისის პირველ რიცხვებში დაიწყო და 9 ივნისამდე მისი ენერგია, სულისკვეთება, აღმაფრენა სულ წინ-წინ მიდიოდა: ბრძოლა პარტიათა შორის თანდათან ცხოველდებოდა. რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატიის 800 წარმომადგენელი მხოლოთ ერთი აზრით, ერთი გრძნობით არის გამსჭვალული: უშველოს რამე რუსეთს, რევოლიუცია კრიზისისაგან დაიხსნას და როგორმე გასასვლელი მოუპოვოს მას.

სიეზდის უმრავლესობა—მენშევიკ-ესერები—ომის გზას დაადგა, ხოლო უმცირესობა ბოლშევიკ-ინტერნაციონალისტები რევოლიუციისას, თუმცა პირველსაც სწამს, რომ ისიც რევოლიუციას ემსახურება.

პირველი გზის გამომხატველი სამხედრო მინისტრი კერენსკია, ამავე მიმართულების მტკიცეთ დამცველი გახდა მეორე ,,სოციალისტი'' მინისტრი წერეთელი. მეორე გზის მაჩვენებელი,—ეს ბოლშევიკების ლიდერი ლენინია. ,,სოციალისტ'' მინისტრებმა იგრძნეს, რომ ნიადაგი ეცლებათ და გამწარდენ: მთელი თავისი ძალღონე მოიკრიბეს და თავის მოპირდაპირეებს შეუტიეს. ლენინი, ზინოვიევი, კამენევი და სხვები უმკლავდებოდენ მათ და ხშირად თავის მხრიდანაც უტევდენ. ომთან დამოკიდებულება, ძალა-უფლების დაპყრობა, მიწის საკითხი. აი რა კითხვების გამო იბრძვიან ისინი და მათთან ერთად რუსეთის მთელი ხალხი. ეს კითხვები არა მარტო სიეზდზე, არამედ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში, ყველა ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულ მუშათა, გლეხთა და [illegible] წრეებში ირკვევა და, აი, ეს [illegible]ნი ხშირათ დადგენილების, [illegible]მოტანაში სიეზდს ასწრებენ. [illegible]ის შეგნებულმა მუშებმა და სალდათებმა, მაგალითად ყველა ამ კითხვებზე საკმაოთ შემუშავებული რეზოლიუციები ივნისის პირველ დღეებშივე გამოიტანეს და რაკი დაინახეს, რომ კერენსკი არ ხუმრობდა და ,,საომრათ'' ემზადებოდა, მათაც მომავალ კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველათ მზადება იწყეს.

პეტერბურგის ,,შავძალებმა'' იგრძნეს მომენტის მოახლოვება და იმათაც ჩუმათ, ფარულათ იწყეს მზადება.

მაგრამ მათი ჩუმი, ფარული მზადება რევოლიუციონური დემოკრატიისთვის დამალული არ დარჩა. ეს შეუძლებელი იყო, ვინაიდან ხალხს, როცა ის თავის საქმეს თვითონვე ადევნებს თვალყურს, არაფერი არ გამოეპარება. არ გამოეპარა მას ამ შემთხვევაში პეტერბურგის კონტრ-რევოლიუციონერების ჩუმი დარაზმვა. მუშების მოთხოვნით ბოლშევიკების ცენტრალურმა ორგანომ ,,პრავდამ'' მოწოდება დაბეჭდა. და, აი, 9 ივნისს შუაღამისას აუწყებენ სიეზდის თავმჯდომარეს, ,,მომავალ მეშვიდე მინისტრს ,,სოციალისტ'' გეგეჭკორს, რომ ბოლშევიკები სადემონსტრაციოთ ემზადებიანო! ისიც აღარ აყოვნებს: კრებას დიდი ,,რევოლიუციონური'' აღტყინებით მიმართავს და მოუწოდებს, რომ ომი გამოუცხადონ... როგორ გგონიათ.., კონტრ-რევოლიუციონერებს? არა! მხოლოთ ბოლშევიკებს! ასედაც მოიქცენ: იმ ღამესვე შეადგინეს კონტრ-მოწოდება, რომ არც მუშები და არც სალდათები სადემონსტრაციოთ ქუჩებში სამი დღით მაინც არ გამოსულიყვენ. ნაშუაღამევს ორ საათიდან სიეზდის მიერ არჩეული პროპაგანდისტ-აგიტატორთა გუნდი პეტროგრადის მუშათა უბნებს და ქარხნებს მოედვა და კონტრ-აგიტაცია გააჩაღა. ბოლშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც მოწოდების დაბეჭდვის შემდეგ მოუვიდა ყველა ეს ცნობები, შესაფერი ზომები მიიღო, რომ პეტროგრადის რევოლიუციონურ პროლეტარიატსა და რუსეთის საბჭოების სიეზდს შორის შეტაკება თავიდან აეშორებია. ამ მიზნით მან თავისი მოწოდება გააუქმა და მუშებს ურჩია ამ ხანათ სიეზდის დადგენილებას დამორჩილებოდენ, ვინაიდან ისინი იმავე სიეზდის ძალა-უფლების დასაპყრობათ იბრძვიან. მუშებმა ისმინეს თავისი წინამძღოლის სიტყვა და განკარგულებას დაემორჩილენ: სიეზდის წარმომადგენლებს ისინი შემდეგი პასუხით დახვდენ იმ ღამეს: ,,ჩვენ დემონსტრაციაზე ხელს ვიღებთ ჩვენი ხელმძღვანელი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისამებრ და არა თქვენი დადგენილების თანახმათ''. გაზეთი ,,პრავდა'' კი სწერდა: ,,მართალია დემონსტრაცია გადაიდო, მარა ბრძოლის საკითხი ისევ დგა'', მის გადასაჭრელათ ძალებს ვამზადებთო''.

გაზ. ,,პრავდის'' ასეთმა განცხადებამ ჩვენი მენშევიკებიც გააწიწმატა: როგორ თუ ,,ძალებს ვამზადებთო'' და მერე ვის წინააღმდეგ ბედავენ ბოლშევიკები სადემონსტრაციოთ გამოსვლასო? კითხულობდენ ისინი 25 ივნისის თფილისის გარნიზონის ჯარების მიტინგზე გასავრცელებლათ დამზადებულ პროკლამაციაში.

მარა როგორც ხედავთ აქ ამ კითხვაში როგორც მათ, ისე მთელ საბჭოთა სიეზდის უმრავლესობას დაუპირდაპირდა პეტერბურგის შეგნებული პროლეტარიატი.

ვის ლოზუნგებს ღებულობს, ვისი დროშის ქვეშ დგება პეტროგრადის პროლეტარიატის და ჯარების ელდი უმრავლესობა: ბოლშევიკების—თუ საბჭოების სიეზდის უმრავლესობის, ე. ი. «ობორონცების»? პეტროგრადის ს. დ. მ. პარტიის კომიტეტმა (ბოლშევიკების) ცნობები უკვე გამოაცხადა, საიდანაც აშკარათ სჩანს, რომ პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭოს პოზიციას მუშები უარყოფენ და ამიტომ ისინი ცდილობენ, რომ საბჭოს შემადგენლობა შეცვალონ. საქ როა, რომ მუშებსა და და მათ წარმომადგენლობითი კოლექტიურ დაწესებულებას შორის წინააღმდეგობა არ იყოს. ესევე უნდა ითქვას რუსეთის მუშათა საბჭოების ცენტრალურ დაწესებულებაზედაც.

მარა ამ უკანასკნელს კიდევ საბუთი აქვს თავი უმრავლესობის წარმომადგენლათ წარმოიდგინოს, რადგან ჯერ კიდევ არაა გამორკვეული, თუ რას ამბობს ზემოდაყენებულ საკითხზე მოსკოვის და პროვინციის პროლეტარიატი. უმრავლესობის ნებას უნდა დაემორჩილოს უმცირესობა, აი ძირითადი პრინციპი დემოკრატიული დისციპლინის.

აქ კითხვა იბადება: ვინ ვის უნდა დამორჩილებოდა 10 ივნისს: მუშები საბჭოების სიეზდს—თუ სიეზდი პეტროგრადის შეკავშირებულ მუშებს?

ამ კითხვაზე თვითონ პეტროგრადის მუშებმა, ასე უპასუხეს: ჩვენ საბჭოების სიეზდს კი არ ვემორჩილებით, რომელიც შეიძლება რუსეთის პროვინციალურ დემოკრატიას უფრო გამოხატავს, არამედ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც მთელი რუსეთის შეგნებულ-შეკავშირებულ და ერთი დროშის ქვეშ დარაზმულ პროლეტარულ დემოკრატიას წარმოადგენს.

ცხადია, ჩვენ, (პეტროგრადის მუშები) როგორც უმცირესობა უნდა დავემორჩილოთ ჩვენი ორგანიზაციების უმრავლესობის გამომხატველს და სხვას არავის!

აი, ჭეშმარიტი დისციპლინაც ეს არის! ჩვენი მენშევიკები კი გამუდმებით უდისციპლინობას უკიჟინებენ ბოლშევიკებს: ალბათ არ იციან საცოდავებმა თუ რას ჰქვია დისციპლინა! დეე, ახლა მაინც ისწავლონ პეტროგრადელ ბოლშევიკ-მუშებისაგან!

ამ ნაირათ პეტროგრადის გაწრთვნილმა, ბრძოლაში გამობრძმედილმა რევოლიუციონურმა ლაშქარმა, თავისი მთავარსარდლის, ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის განკარგულების თანახმათ, 10 ივნისს მწყობრათ დაიხია უკან და მომავალ შეტევისათვის მზადებას შეუდგა.

რ. კალაძე.

## გაწყალებული რევოლიუცია.

,,ბოლშევიკები ყველაფერში დამნაშავეა'' ამაში ყველა თანახმაა: კონტრრევოლიუციის მეთაური კადეტებიც და „სოციალისტ-რევოლიუციონერები“ მენშევიკებთან ერთად, რომელთაც თავი მოაქვთ „რევოლიუციონურ დემოკრატიით“ იმიტომ, რომ ეს სატრფიალო ბლოკი ყოველ ცისმარე დღეს ღალატობს, როგორც დემოკრატიზმს, ისე რევოლიუციონერობას.

„ყველაფერში დამნაშავე მხოლოთ ბოლშევიკებია''—უკიდურესათ გამწვავებულ ეკონომიურ რღვევა-დაშლაშიაც, რომლის წინააღმდეგ არაფერი არ კეთდება, სასურსათო საქმის უნუგეშო მდგომარეობაშიაც და იმ მარცხშიაც, რომელიც განიცადა დროებითი მთავრობამ უკრაინასა და ფინლიანდიასთან შეჯახების დროს. დასტურაც, შეიძლება კაცმა ისიც იფიქროს თავდაბალი, ზომიერ და ფრთხილ ფინებში ჩაერია რომელიმე თავზე ხელაღებული ბოლშევიკი და მთელი ხალხი ააჯანყა!

ბოროტი და ცოფიანი ღმუილი ბოლშევიკების წინააღმდეგ „რეჩ“-ში და „რაბოჩაია გაზეტა“-ში მოკალათებულ ბინძურ ვაჟბატონების და ანონიმების ბინძური და ცილისწამებით სავსე კამპანია,—ყველაფერი ეს „გაწყალებულ“ რევოლიუციის წარმომადგენლების აუცილებელი ცდა, რამენაირათ გული დაიშოშმინონ ამდენი მარცხის გამო.

კადეტები—ეს ბურჟუაზიის კონტრ-
რევოლიუციონური პარტია .. ეს აღი
რა დღეს რუსეთში გაბატონებულმა ეს
რების და მენშევიკების ბლოკმა, რო
მელმაც საბჭოების სიეზდზე განაცხად
რომ მდიდართა კლასების წინააღმდეგო
ბა იზრდება და კონტრ-რევოლიუციი
საფუძველს შეადგენსო. და ამავე დრო
ეს ბლოკი, რომელსაც გაზ. „რეჩი“ უხ
სიათობას უკიჟინებს, თვითონ იმყოფე
ბლოკში კადეტებთან, და როგორ სა
ცხოვრ ბლოკში!—რომელიც გამტკიც
ბულია დროებითი მთავრობის შემად
გენლობით!

ორი ბლოკი—აი ვინ განაგებს დღ
რუსეთს, ესერების და მენშევიკების ბლო
კი და ამ ბლოკის ბლოკი კადეტებთან
რომლებიც თავის მხრით ბლოკში
დიან ყველა მარჯვნით მდგომ პოლიტი
კურ პარტიებთან. აქედან აუცილებლა
გამომდინარეობს რევოლიუციის გაწყალ
წყალება, ვინაიდან ამ მმართველ „ბლო
კთა ბლოკის“ ნაწილები თვითონ წყალ
წალებული არიან.

კადეტებს თვითონ არ სწამთ თავი
რესპუბლიკანიზმი, მით უფრო არ სწამ
იგი ოქტომბრისტებს და სხვა ფერის მო
ნარქისტებს, რომლებიც დღეს ამოფარე
ბულ არიან კადეტების უკან და ხმა
მას აძლევენ. კადეტებს არ სწამთ ე.
„სოციალ-ბლოკელები“ და სიამოვნებით
ხმარობენ მათ მავნე მინისტრებს, რო
გორც იარაღს ყოველნაირ ელდევე
„დასაწყნარებლათ“,—და ამავე დრო
ბრაზდებიან, გველივით სისინებენ
შეუთვლებიან იმ გლეხთა მასის და მუშე
ბის ნაწილს უზომო „ითხოვნილებებ
გამო, რომელიც ამ ჟამათ უჯერ
ესერების და მენშევიკების ლამაზ დაპი
რებებს (მშრომელი ხალხის ისე დაკმა
ყოფილება, რომ კაპიტალისტებს არ ა
ყენონ)! და რომელიც უსირცხვილო
ელის და მოითხოვს ამ დაპირებათა ნამ
დვილათ ასრულებას!

,,სოციალ-ბლოკელებს'' ერთმანეთი
არ სჯერათ: ესერები მენშევიკებს
ენდობიან და პირიქით, ჯერჯერ
ბით არც ერთ „ძვირფას ნახევარ
ვერ გაუბედავს ყველას წინაშე, ოფიცი
ალურათ გაცხადება, როგორ, რისთვი
რის გულისთვის და სანამდე გაერთი
დენ სტრუვეს (ცნობილი რენეგატი)
მოზე შეხანხლულ „მარქსიზმი“ და ე.
„მიწის უფლების“ მიმდევარნი. ირლე
ერთობა შეგნით თვითეულ «ძვირფას ნა
ხევარშიაც» კი: ესერების სიეზდი ო

## ნერვები დაიმშვიდეთ.

2? ივნისს გამართულ მიტინგზე მეტათ სამწუხარო ინციდენტს ქონდა ადგილი. ბრბომ გალახა რამდენიმე მენშევიკი, რომლებიც ავტომობილიდან ავრცელებდენ ბოლშევიკების საწინააღმდეგო ფურცლებს.

ჩვენ გადაჭრით ვგმობთ და ვკიცხავთ ასეთ ძალადობას და მთელი ჩვენი ძალღონით ვებრძვით მას. ასეთი უმსგავსო მოქმედება,—პიროვნების შეურაცხყოფა, მასზე ძალდატანება და აზრის თავისუფლების შებოჭვა ჩირქს სცხებს მთელ მოძრაობას და თვით რევოლიუციის ბედიღბალს საფრთხეში აგდებს. ყოველი რევოლიუციონერის ვალია თავ-გამოდებით ებრძოლოს ასეთ მოვლენებს და მტკიცეთ ახსოვდეს, რომ მხოლოთ ორგანიზაციით, რევოლიუციონური დისციპლინით და პიროვნების პატივისცემის დაცვით შეუძლია ხალხს მიაღწიოს რევოლიუციის მიერ წამოყენებულ მიზანს. ასეთია ჩვენი აზრი და არც შეიძლება ის სხვანაირი იყოს.

სხვა გვარათ ფიქრობს და მსჯელობს მენშევიკების ორგანო „ერთობა“. მან წამებულის გვირგვინი დაიდგა თავს და სასოწარკვეთილებით გაკივის: ხალხო და ჯამაათნო, მოგვხედეთ, ბოლშევიკებმა გვცემესო! ინციდენტის მთელ პასუხისმგებლობას ჩვენ გვახვევენ თავზე, ბრბოს ხელმძღვანელებით, გალახვის მომწყობათ ჩვენ გამოვყავართ მკითხველის თვალში.

რათ სჩადიან ასე მენშევიკები? რა მოხდა?

მოხდა ერთი რამ. მიტინგმა მიიღო ბოლშევიკების რეზოლიუცია, მიტინგზე ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა. აი, ამან შეაშფოთა თფილისელი მენშევიკები და იმდენათ დაუბნია მათ დავთარი, რომ ყველაფერს მოა?უჭბიან, ოღონდ თავის დამარცხება როგორმე მიაფუჩეჩონ. ეს არის მიზეზი მათი აღელვებისა და ამ შემთხვევაში, სამწუხაროთ, ვერაფრით ვერ დავამშვიდებთ მათ. დღეგრძელი იყვნენ და ამისთანა დამარცხებას მრავალს იწვნევენ.

ჯერჯერობით კი მიტინგზე მომხდარი ინციდენტი კოზირია მენშევიკების ხელში, რომლითაც ქვეყანას აყრუებენ და ცდილობენ მიტინგის დიადი მნიშვნელობა დაფარონ. ჩვენი ვალია ეს კოზირიც გავუბათილოთ მათ და საქმის ნამდვილი სურათი აღვადგინოთ. ისინი სწერენ:

„განსაკუთრებით „ლიდერები“ ჯარის კაცებს მენშევიკების წინააღმდეგ ამხედრებენ, უკანასკნელებს პროლეტარიატის მოღალატეების სახელით ნათლავდენ, ბურჟუაზიული იმპერიალისტური პოლიტიკის მოსერეებს უწოდებდენ და ღ მსწრეთ აძახებდენ: ძირს ბურჟუაზიას და ომის მომხრე მეუმცირესენი და გაუმარჯოს ერთად ერთ პროლეტარიატისა და გაღატაკებულ გლეხკაცობის ინტერესების დამცველ ინტერნაციონალურ ბოლშევიკურ პარტიას! როგორც მოსალოდნელი იყო—ამისთანა იაფ-ფასიანმა ლოზუნგებმა კრელ მასაში შესაფერი მიმდევრები იშოვა და უკანასკნელებმაც ვნებათა-ღელვას პრაქტიკული გამოსავალი მისცეს: რამდენიმე მენშევიკი კაცი და ქალი ბარბაროსულათ გალახეს“. („ერთობა“ № 82).

სრულიათაც ასე არ ყოფილა საქმე. ჯერ მიტინგი არც კი იყო დაწყებული, რომ ტრიბუნებიდან გარგა შორს უკვე დაიწყო ინციდენტი. ყოველ შემთხვევაში იმ ბრბოს, რომელიც ამ ინციდენტის აქტიური მონაწილე იყო, არც ერთი ორატორის მოსმენა არ შეეძლო. მაშასადამე, ბოლშევიკების სიტყვებს არ გაუხელებია ხალხი, როგორც ეს უნდა წარმოედგინოს „ერთობამ“. ინციდენტი გამოიწვია თვით ფურცლების გავრცელებამ და მასთან დაკავშირებულმა შელაპარაკებამ. ეს არის სინამდვილე წინააღმდეგ „ერთობის“ მოჭორილ ზღაპრისა.

ვნახოთ კიდევ რა ბრალსა გვდებს „ერთობა“.

„ვინც მიტინგს დაესწრო, მისთვის აშკარა იყო, რომ იმ ხულიგანების ხელმძღვანელებათ, რომელთაც სცემეს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს პროპაგანდისტებს, ყველგან ბოლშევიკები გამოდიოდენ. მათ მოაწყვეს იმ „პალოჩნიკ-ი'' ბრბო, რომელიც მუშტიკრივით უმასპინძლდებოდა ყველას, ვინც კრიტიკულათ უყურებს ბოლშევიკების მიერ წამოსროლილ ლოზუნგებს“. („ერთობა“ № 83)

ერთი სიტყვით, ბოლშევიკებმა მოაწყეს მენშევიკების ცემა! რამ გადარია ეს ხალხი? რათ იქცევიან ასე უმსგავსოთ? თურმე იმიტომ, რომ ბოლშევიკები სუსტი არიან და „სუსტი კი მუდამ ძალდატანებას ემხრობა, რომ მოწინააღმდეგე დააფრთხოს და მას თავზარი დასცეს; სწორეთ ასე იქცეოდა მეფის მთავრობა, ამასვე სჩადიან დღეს ბოლშევიკები''. (,,ერთობა'' № 83).

ასე უსირცხვილოთა სწერს გაზეთი იმ ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდეს სწორეთ იმ მენშევიკების სიკვდილისაგან გადასარჩენათ, ვისი გალახვაც ვითომ თვითონ მოაწყეს! ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეებს სავსებით არ დაუკარგავთ სინიდისი და სიმართლის აღსადგენათ გალახული მენშევიკები მაინც აღიარებენ საჯაროთ, რომ ისინი აუცილებელ სიკვდილს გადაარჩინეს სწორეთ ბოლშევიკებმა, რომელთაც ამის გამო მენშევიკებზე ნაკლები არ მოხვედრიათ იმავე გააფთრებული ბრბოსაგან.

ბოლშევიკები თავგანწირვით ეკვეთნენ ბრბოს და მანამდე არ დაწყნარებულან, სანამ მენშევიკები ხელიდან არ გამოგლიჯეს და ისინი სამშვიდობოს არ გაიყვანეს. ეს ფაქტია, რომელიც ,,ჯავშნიან მუშტზე'' უფრო ძლიერათ სცხებს ცხვირში „ერთობის“ დარდიმანდ პუბლიცისტებს. ამის დამალვა არ შეიძლება. „ერთობაც“ ვერ მალავს, მაგრამ ერთი ნახეთ, რა ქარაგმებში ახვევენ ამ ყველა რიგიან კაცისთვის ადვილად გასაგებ ამბავს, „ერთობა“ სწერს:

„ხულიგანთა ბრბომ არც ბოლშევიკები დაინდო და ისინიც მიტყეპა (დავეულოცათ ტკბილ-ქართული!) მეთაურებმა ვერ შესძლეს მათ მიერ მოწყობილი გამოსვლის შესაფერ კალაპოტში ჩაგდება და იმ ჯადოქრული ძალების შეჩერება, რომელნიც სამოქმედოთ გამოიწვიეს».

რატომ გალახა ბრბომ ბოლშევიკები? იმიტომ კი არა, რომ ისინი მენშევიკებს მიეშველენ. აბა რათ მიეშველებოდენ მენშევიკებს, როცა მათი გალახვა ასე გულით უნდოდათ ბოლშევიკებს და მთელი ორგანიზაციაც მოაწყეს ამისთვის. მაშ რისთვის გაილახენ ბოლშევიკები? საარაკო ამბავი მოხდა: ბოლშევიკებმა გამოიწვიეს ჯადოქრული ძალები, მიუსიეს ისინი მენშევიკებს, მაგრამ რადგანაც ამ ძალებმა მენშევიკების გალახვით გული ვერ იჯერეს, მოუბრუნდნენ მერე და ბოლშევიკებს დაერივნენ!..

ასეთ სამარცხვინო სიყალბეს სჩადის გაზეთი, რომელიც პროლეტარულ დროშას აფარებს თავს! ეს არის შეურაზმული გამოსვლა- -ნამდვილი მიუკიბ-მოუკიბავი და შეგნებული. რა გასაკვირია, რომ დიდ და რთულ კითხვებს „ვერ გაართვას თავი ასეთი სტატიების ავტორმა, როდესაც ესე სადა და მარტივი ამბების გაყალბება და დამახინჯება ასე ოსტატურათ შეუსწავლია!

ასე აყალბებენ ფაქტებს, რომელთა
ათასობით მოწმე ჰყავს. ფაქტები კი ას
თი იყო. კერენსკიმ გამოაცხადა თავდას
მა (შეტევა) და ამან დიდი აღელვე
გამოიწვია თვით მენშევიკ-„ობორონცებ
ბანაკშიაც. ხალხი მოვიდა მიტინგზე
კითხვის გამოსარკვევათ, მოვიდა თავდას
მის აშკარა მოწინააღმდეგეთ. მენშევიკ
ბი მას გაუმასპინძლდნენ „გაუმარჯო
თავდასხმას“ ლოზუნგით. ამან გამწვა
ხალხი და გამოიწვია ის ექსცესები, რომ
ლებიც ჩვენ მთელი ძალღონით დავგმ
და გავკიცხეთ. მენშევიკებმა ეს არ იკ
რეს. მათ ჩაიდინეს ის, რაშიაც ჩვ
ბრალსა გვდებენ; მათ მოინდომეს მ
ტინგის ჩვენს წინააღმდეგ გამოყენებ
მათ მოინდომეს მოეწყოთ ბოლშევიკებ
ცემა და ამ მიზნით გაავრცელეს სიცა
გებოთ შეხანხლული, ჩვენს წინააღმდე
მომართული ყოვლად უმსგავსო ფურც
ლები. „პროვოკატორები'', კონტრ-რე
ვოლიუციონერები'', „რევოლიუციის
მოღალატენი“—აი რა სიტყვებით გვ
კობდენ ჩვენ და ურჩევდენო ხალხს ერ
დეთ მათ, ახლოს არ გაეკაროთო. რა
ხალხის სულიერი განწყობილება ოდნ
მაინც ჩვენს წინააღმდეგ ყოფილიყო მ
მართული, ეს ფურცლები ცეცხლ
ნავთს დაასხამდენ და გააფთრებულ
ბრბო ცემას არ დაგვაჯერებდა: ჩვ
გაგვსრესდენ გაუკითხავათ და ჩვენ ვე
გადაგვარჩენდენ მენშევიკებიც, კი
რომ მოგვეშველებოდენ ეს უკანასკნელ
ისინი კი ჩვენ არ მოგვეშველებოდენ
ამას მრავალი ფაქტებით დავამტკიცებ
სიტყვის თავისუფლების შებოჭვა,
როვნებაზე ძალდატანება კონტრ-რევ
ლიუციონური აქტებია და მათ
იჩინეს გაცილებით ადრე, ვიდრე კე
მიტინგი შედგებოდა. რათ არიან
გულმავიწყი მენშევიკები? რა არ
სენდებათ მათ სულ ახლობელი ამბ

დიდ ნაწილათ გაიყო: 136 ხმით 134 წინააღმდეგ „სოციალისტი" კერენსკი გააცურეს, რასაც მოყვა თვით „ბებიის" (ბრეშკო-ბრეშკოვსკაია) ც. კ-დან გასვლა. ეს სკანდალი ც. კ. განმარტებით თურმე იმით აიხსნება, რომ კერენსკის, როგორც სამხედრო მინისტრს სულ არ რჩება დრო (როგორც მაგ. ჩერნოვს) ც. კ-ში სამუშაოთ! მემარჯვენე ესერები თავიანთ გაზ. «Воля Народа»-ში ლანძღავენ თავის პარტიას და მის სიეზდს, მემარცხენე ესერები «Земля и Воля»-დან ბედავენ იმაზე ლაპარაკს, რომ ხალხს ომი არ უნდა, ვინაიდან იგი იმპერიალისტურათ მიაჩნია მას.

მენშევიკების მემარჯვენე ფრთა გაზ. «День»-ში გადაბარგდა. ამ გაზეთს მეთაურობს პოტრესოვი, რომელსაც სიყვარულით ეალერსება გაზ. «Единство» (რომელიც გუშინ კიდევ მენშევიკებთან ბლოკში იყო მუნიციპალურ არჩევნების დროს პიტერში). მემარცხენე ფრთა თანაუგრძნობს ინტერნაციონალიზმს და აარსებს თავის გაზეთს «Искра»-ს. ბანკების ბლოკი პოტრესოვებთან გაზ. «День»-ის საშუალებით, ყველა მენშევიკების ბლოკი, პოტრესოვიდან მარტოვამდე — „გაერთიანებულ" მენშევიკურ პარტიის საშვალებით.

რა არის ეს, თუ არ გაწყალება? „ობორონცები" ცუდათ ფარავენ ამ გაწყალებულ რევოლიუციას, ვინაიდან ახლაც კი, როცა იმპერიალისტური ომი კვლავ განაახლეს, როცა შეტევით გამოწვეულ ალიაცებას საზღვარი არ აქვს, პოტრესოვის მომხრეებმა გაამწვავეს «შეტევა» თავის მოწინააღმდეგებზე ერთ კავშირში, კერენსკის მომხრეებმა თავის მოწინააღმდეგეებზე—მეორეში.

«რევოლიუციონურ დემოკრატიას» აღარ სწამს აწი რევოლიუცია, ეშინია დემოკრატიის, ყველაზე უფრო უფრთხის ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებთან გათიშვას, ეშინია რუსეთის კაპიტალისტების უკმაყოფილების. („ჩვენი რევოლიუცია ბურჟუაზიულია" ეს «ჭეშმარიტება» დანის, წერეთლის, და სკობელევის მიერ ახირებულათ, დამახინჯებული, დაჯერა „თვით" მინისტრ ჩერნოვმაც კი). კადეტებს სძულთ რევოლიუცია და დემოკრატია. რა არის ეს, თუ არა გაწყალებული რევოლიუცია?

საყოველთაო ველური ღმუილი ბალშევიკების წინააღმდეგ ნიშნავს კადეტების, ესერების და მენშევიკების ჩივილს თავის საკუთარ გაწყალებაზე.

ისინი უმრავლესობაა. იმათ ხელშია ძალა-უფლება. ისინი ყველა ერთმანეთთან ბლოკში არიან. და ამავე დროს ისინი ხედავენ, რომ არაფერი სახეირო მათ ხელიდან არ გამოდის!! როგორ არ უნდა გაბოროტდენ ბალშევიკებზე?

რევოლიუციამ უძნელესი და უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობის კითხვები წამოაყენა.

ამ კითხვების გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ ცხოვრებაში არ გატარდება უკიდურესათ რევოლიუციონური ღონისძიებანი, დაყრდნობილნი დამონებულ და გაყვლეფილ მასის გმირობაზე და თუ ამ მასამ ნდობა არ გამოუცხადა და ზურგი არ გაუმაგრა თავის მოწინავე რაზმს—პროლეტარიატს.

მარა ჯერჯერობით სინჯავს „უფრო ადვილ" გამოსავალს: კადეტების ბლოკის საშვალებით ესერების და მენშევიკების ბლოკთან.

გამოსავალი აღარ სჩანს!

«Правда»

# პრესა.

**ჩვენი მენშევიკების «მორიგი გამოსვლა»**

ჩვენი მენშევიკები წინააღმდეგობათა ბადეში გაიხლართენ და როგორც მახეში გაბმული ჩიტი ისე ფრთხიალებენ და აქეთ-იქით აწყდებიან! რა მოუვიდათ, რამ დასცა მათ თავზარი? ცხადია პეტროგრადიდან მოსულმა უკანასკნელმა დიდმა ისტორიულმა ამბებმა! თუ როგორ შეხვდენ ჩვენი მენშევიკები ამ ამბებს, ამას სავსებით გვისურათებს მათივე გაზ. „ერთობის" მე-89 ნომერში მოთავსებული წერილი — „მორიგი გამოსვლა".

ჩვენი მენშევიკებს ამ მართლა და მორიგ გამოსვლაში—კიდევ იმედი გვაქვს, რომ ეს უკანასკნელი იქნება—ისინი რაღაცნაირ კონტრ-რევოლიუციაზე გვითითებენ და რაღაც ნაირი შავი აჩრდილით უნდათ დაგვაფრთხონ. ერთ დროს თუ ბურჟუაზიის იდეოლოგები წითელი აჩრდილით ხალხის დაფრთხობას ახერხებდენ, დღეს მენშევიკები, თითქო ბურჟუაზიის საქმეთა გამგრძელებელნი არიანო, ამავე ხალხს შავი აჩრდილით, ე. ი. შავრაზმელთა კონტრ-რევოლიუციით აფრთხობენ.

ისინი რევოლიუციონურ ხალხს მამაშვილური დარიგებით მიმართავენ:

„დაიცავით თავდაჭერილობა, სიწყნარე! იყავით ფხიზლათ", ნუ აყვებით მემარცხენე რევოლიუციონერ პარტიას (იგულისხმეთ ბალშევიკები), რადგან მათი ახლანდელი გამოსვლებით—პეტროგრადის ქუჩებში მუშების დემონსტრაციების მოხდენით—შავრაზმელები ისარგებლებენ.

მარქსი ამბობდა: წითელი აჩრდილი გამოჩნდა ევროპაში და ბურჟუაზიას თავზარი დაეცა, შიშმა აიტანაო.

ჩვენი დროის ახლანდელი ვითომდა მარქსისტები, მენშევიკები თავის დიდებულ მოძღვარს თითქო ბაძავენ და უნდათ საზარელი აჩრდილით ხალხი დააფრთხონ. მაგრამ ეს მიბაძვა კრილოვის მაიმუნის მიბაძვას წაგვაგონებს,—სათვალეებს რომ კუდზე იკეთებდა.

ჩვენი მენშევიკები დღეს ღაღადებენ: რუსეთში შავი აჩრდილი გამოჩნდა! მიტომ გეშინოდეს მისი და ძრწოდე რევოლიუციონერო ხალხო! «დაწყნარდი, დამშვიდდი, თავდაჭერით და მოთმინებით იყავი», რომ მიზეზი არ მისცე ამ საზარელ აჩრდილს თავი არ წამოყოს და არ გშთანთქასო.

და როგორ გგონია, ამხ. მკითხველო, სჯერის მათი ღაღადისი ხალხზე? ხალხს მართლა ეშინია ამ შავი აჩრდილის, ისე როგორც ბურჟუაზიას „წითელი აჩრდილის"? სულაც არა!

ამას ამ დღეებში პეტროგრადის აჯანყებული ხალხი და ჯარი გვიმტკიცებს ამ ხალხთან ერთათ არ ეშინიათ ბალშევიკებს და ისინი თამამათ მოუწოდებენ რევოლიუციონურ ხალხს, რომ რევოლიუციას სათავეში ჩაუდგეს, თვით იკისროს მისი გაღრმავება—გაძლიერება, რომ „დაჩაგრული გული" ახლა მაინც გაიხაროს, საწადელი ახლა მაინც შეისრულოს!

ჩვენი მენშევიკები კი „ერთობის" ფურცლებიდან გაიძახიან: „ასეთი ანარქისტული გამოსვლები კონტრ-რევოლიუციას (იგულისხმეთ შავაჩრდილს) საშვალებას აძლევს... და რევოლიუციის განმტკიცებას ხელს უშლის"... „დიახ—განაგრძობენ მენშევიკები ბრძნული კილოთი—ბალშევიკების საქმიანობა რეაქციის გაძლიერებას ემსახურება და კონტრ-რევოლიუციის გამძვინვარებას ხელს უწყობსო"...

1905 წელს რუსეთის გარევოლიუციონერებულ ინტელლიგენციაზე ტროცკი სწერდა: „მესამე ელემენტი" ბურჟუაზიულმა შიშმა აიტანა და ლამის ისიც რევოლიუციის ღალატში კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას გაჰყვესო".

ჩვენი მენშევიკები დღეს სწორეთ ასეთ „ბურჟუაზიულ შიშსა და ცახცახს" განიცდიან, მარა ვის წინაშე? ისინი ფიქრობენ, რომ მათ ეშინიათ შავი აჩრდილის, მარა ყველაფრიდან სჩანს, რომ ისინი „ბურჟუაზიასთან ერთათ" სოციალიზმს უფრთხიან, ე. ი. წითელი აჩრდილი მოლოდინში კანკალებენ. თვითონ კი გვარწმუნებენ: „პირველი ასეთი კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯი ბურჟუაზიამ გადადგაო"—სწერენ ისინი „ერთობის" 89 №-ში. მკითხველს ამ სიტყვებზე მოაგონდება, ცხადია, მენშევიკების მუდმივი მტკიცება, რომ რუსეთის „პროგრესიული ბურჟუაზია" რევოლიუციონურია, რომ ის რევოლიუციის მესამე მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, რომ დემოკრატიამ მასთან „კოალიცია" უნდა შეადგინოს, მას უნდა მხარი დაუჭიროს და მტერს (?) საერთო ძალით უნდა ებრძოლოს... მოაგონდება ყველაც და მწარე დაცინვით იტყვის: გუშინ ბურჟუაზიის რევოლიუციონერობას გვიმტკიცებდენ, დღეს კი მოღალატეთ სახავენ; გუშინ ბურჟუაზია რევოლიუციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა მათი აზრით, დღეს კი რევოლიუციის „დამქსაქსველია". რა მოხდა, რომ შესცვალეს ასე ძირეულათ ბურჟუაზია? ამაზე მენშევიკები თვითონვე ალიარებენ: „რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე, როგორც კი პროლეტარიატმა თავისი პოლიტიკური და ეკონომიური უფლების მოთხოვნილების ფართოთ წამოყენება დაიწყო ბურჟუაზიამ რევოლიუციონური კლასის ჩამოშორება იწყო"... „თქვენს პირს შაქარი"-მეთქი, მოგახსენებდით ჩვენ მაგ სიტყვებზე, ვინაიდან ჩვენც ესეთი აზრისა ვართ ბურჟუაზიაზე. მაშ რა გვყოფს, რა გვთიშავს?! რატომ ხელს არ გვადლევთ და ჩვენთან ერთათ არ მოდიხართ ამ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველათ?!

ან ბურჟუაზიასთან ერთათ ჩვენს წინააღმდეგ, როგორც დღემდე მოქმედებდით და აზროვნებდით, ან ჩვენთან ერთათ ბურჟუაზიის და ყველა კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ. ან ერთი ან მეორე, სხვა გამოსავალი არა გაქვთ!

თქვენ „ობიექტიურ პირობებზე" გვითითებთ და გვეუბნებით: „ობიექტიური პირობები ბალშევიკების ლოზუნგებს და გამოსვლებს კონტრ-რევოლიუციონურ ხასიათს აძლევსო"...

ფაქტები კი ამის სულ წინააღმდეგს გვეუბნება. სწორეთ ეს ობიექტიური პირობებია მიზეზი იმის, რომ ბალშევიკების ლოზუნგებმა ისე მკვიდრათ და ღრმათ გაიდგა ფესვები პეტროგრადისა და მოსკოვის რევოლიუციონურ პროლეტარიატსა და ჯარში; სწორეთ ეს პირობებია იმის თავდები, რომ პეტროგრადში დაწყებული აჯანყება ბალშევიზმის სრული გამარჯვებით დასრულდება და ამით ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციას და მასთან ერთათ თქვენს „ბურჟუაზიულს ცახცახს" ბოლო მოეღება!

მანამ კი თავი თქვენივე სიტყვებით ინუგეშეთ და თქვენი უკანასკნელი „გამოსვლის" წერილის შემდეგი საგანგებო სიტყვები იმეორეთ: „შეგნებულ მუშათა კლასის მოვალეობას შეადგენს რევოლიუციონური ორგანოების სურვილების თანახმათ იმოქმედოს და მათ ანარქიას ბოლო მოუღოსო"!

დაბოლოს მაინც უნდა გკითხოთ: როგორ გგონიათ: პეტროგრადის შეგნებულმა მუშათა კლასმა თავისი მოვალეობა ვერ შეასრულა, როცა პეტროგრადის რევოლიუციონური მასსა ვითომდა „რევოლიუციონური ორგანოების" სურვილის თანახმათ კი არა, არამედ მის წინააღმდეგ წაიყვანა და ჭეშმარიტი რევოლიუციონური მთავრობა შექმნა?!

იქნება თქვენ არ მოგწონთ რევოლიუციონური მოვალეობის ასეთი შესრულება, რადგან ეს თქვენი სურვილების წინააღმდეგია! მარა რას გააწყობთ, ვინაიდან თქვენც იცით: „სურვილებით ქვეყანას ვერვინ ჰმართავს"! რ. კ.

# სომხური პრესა.

**სოციალიზმი და „დაშნაკცუთუნი".**

რუსეთის დიდი რევოლიუცია ფრიად სასარგებლო და ხელსაყრელი მოვლენა შეიქნა კავკასიის წვრილ ერებისთვის. ცარიზმის დამხობამდე ამ ერების წარმომადგენლები, მათი ბრწყინვალე კრისუფალნი დამამცირებელი ლაქიურ ღრეჯით და თხოვნით ემუდარებოდენ მთავრობას და მის მოხელეებს.

ამ მოვლენას ძლიერ ფართო ადგილი ეჭირა განსაკუთრებით სომხეთა ცხოვრებაში, სადაც უდიდეს პარტიათ ითვლებოდა დაშნაკცუტიუნის პარტია. ამ პარტიის წარმომადგენლები აშკარათ თუ ფარულათ სომხეთა შორის აწარმოებდენ იმ პოლიტიკას, რომელიც არსებითად არ ეწინააღმდეგებოდა ძველ მთავრობას. მათ არასოდეს არ უფიქრიათ ლაპარაკი

---

იმიტომ, რომ მათ ამ ამბებში სამარცხვინო როლი ითამაშეს. ჩვენს წინააღმდეგ იყო მომართული ეს ამბები და მაშინ მენშევიკები ან სამარცხვინოთ სდუმდენ ან უფრო სამარცხვინო აქტივობას იჩენდნენ. პირველი მსხვერპლი კონტრ-რევოლიუციონური თავდასხმისა ჩვენი გაზეთი «პრავდა» შეიქმნა. „პრავდის" კონფისკაცია უყვეს, ფრონტზე არ გაუშვეს. და მერე ვინ ჩაიდინა ეს? მენშევიკებმა და ესერებმა. ჩვენ ქუჩაში გვიჭერდენ, გვატუსაღებდენ, თავისუფალი, რევოლიუციონური სიტყვის მთქმელს პირში ლაგამსა გვდებდენ. ჩვენ ქვეყანას მოუწოდებდით დაეგმოთ ეს საქციელი არა ჩვენი პირადობის დასაცავათ, არამედ რევოლიუციის დასაცავად, კონტრ-რევოლიუციის ასალაგმავათ. რა ქნეს ამის შესახებ მენშევიკებმა? კრინტი არ დასძრეს, ხმა არ ამოიღეს არც ერთ თავის გაზეთში, არც ერთ თავის პასუხისმგებელ ორგანოში! ალბათ იფიქრეს: ბალშევიკებს იჭერენ, ჩვენ ხომ არაო და დღესაც გვერდს უმშვენებენ იმ ვაჟბატონებს, რომელნიც რევოლიუციონერ ნიღაბ ქვეშ აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს აწყობდენ. აი სად არის სათავე იმ კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლისა, რომელმაც კვირას მიტინგზედაც იჩინა თავი.

როგორ შევხვდით ჩვენ ამ გამოსვლას? ჩვენ თავგამოდებით შევებრძოლეთ მას თვით მიტინგზე და აშკარათ დავგმეთ იგი გაზეთის ფურცლებზე. აი რასა ვსწერდით გაზ. „კავკ. რაბოჩის" 27 ივნისის ნომერში. „ამხანაგებო სალდათებო! ასეთი ფაქტები საფრთხეს უმზადებს (პიროვნებაზე ძალდატანება) ჩვენს რევოლიუციას. საჭიროა მივიღოთ ზომები, ჩავაგონოთ და ავუხსნათ ერთმანეთს, რომ ასეთი თვითნებური მოქმედება დასაშვები არ არის თუ თქვენ არ ეთანხმებით თქვენ შორის გავრცელებულ მოწოდებათა შინაარსს, შეგიძლიათ სრულიათ არ წაიკითხოთ ისინი. თუ თქვენ შეურაცხყოფას გაყენებენ, თქვენ შეგიძლიათ პასუხის გებაში მისცეთ შეურაცხმყოფელნი, ტლანქი ძალდატანება იმ ბნელ წარსულს უნდა გაყვეს, როდესაც გამეფებული იყო დაწყევლილი ძველი რეჟიმი, რომელიც აღგავა რუსეთის რევოლიუციის ქარიშხალმა. თავისუფალ რუსეთში ადგილი არ უნდა ქონდეს ძალდატანებას".

შემდეგ მოუწოდებთ, რომ თითონ სალდათებმა სასტიკათ დაგმონ ძალადობა, საიდანაც უნდა გამოდიოდეს იგი. „დაიცავით ყველგან სიმართლე და თავისუფლება. ნუ დაუშვებთ ძალდატანებას ნურავის წინააღმდეგ, დ ა ი ც ა ვ ი თ ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ი ს გ ა ნ თვით თქვენი ი დ ე ი უ რ ი მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ნ ი, რადგანაც ძალდატანება დეზორგანიზაციის (უწესრიგობის) მიზანია".

ასე მოვიქეცით ჩვენ, რადგან ასე უნდა მოქცეულიყო ყოველი რევოლიუციონერი, რომელიც ღირსია ატაროს ეს უწმინდესი სახელწოდება. მენშევიკები სხვანაირათ იქცევიან და ამაშიაც აშკარათ სჩანს, თუ რა დიდი განსხვავებაა, ჩვენსა და მათ შორის. ისინი არ გმობენ ძალდატანებას, როცა ის ბალშევიკების წინააღმდეგ არის მიმართული, ისინი კრინტს არა სძრავენ, როცა ბალშევიკებს იჭერენ და პირში ბურთსა სჩრიან. უგუნურები ვერა ხედებიან, რომ რევოლიუციონერს მხოლოთ კონტრ-რევოლიუციონერი დაატუსაღებს, თავისუფალ სიტყვას მხოლოთ კონტრ-რევოლიუციონერი შებოჭავს, ხალხზე ძალდატანებას მხოლოთ კონტრ-რევოლიუცია აწარმოებს. ისინი სდუმდენ და გულში კიდეც უხაროდათ ჩვენი დევნა, ჩვენ მარტონი ვიყავით ამ უსწორო ბრძოლაში და ზოგიერთი მენშევიკები ხმა მაღლა ამართლებდენ ჩვენს დევნა-შევიწროებას. ერთ ჩვენს პარტიულ კრებაზე შემოიჭრა დაუპატიჟებელი სტუმარი მენშევიკი ქიაბრიშვილი, რომელმაც „მეცნიერულათ" დაგვისაბუთა, რომ რაკი მენშევიკების ლოზუნგებს არ ვიზიარებთ, ღირსი ვართ ყოველგვარი სასჯელისა მიუხედავათ ასეთი უტიფრობისა, ამ თავხედ სტუმრისთვის გვერდები არავის დაულეწია, ის გარედაც არ გაუპრძანებიათ; მას გულდასმით მოუსმინეს, როგორც იდეიურ მოწინააღმდეგეს და მის შავრაზმულ „რეჩს" ღირსეული პასუხი გასცეს სიტყვით და არა მოქმედებით.

მენშევიკები დღეს ღელავენ, შფოთავენ, ოხრავენ და ვაი-ვაგლახობენ. მხოლოთ დღეს, როდესაც მათ წინააღმდეგაც მოიმართა ის უხეში ძალა, რომელიც აქამდე მარტო ჩვენს ზურგზე გადიოდა. ნუ ღელავთ, დაიწყნარეთ ნერვები, თქვენ უფლებაც არა გაქვთ—უკმაყოფილო იყოთ, მთელი თქვენი პოლიტიკა ნიადაგს უმზადებდა ასეთ გამოსვლებს. დაწყნარდით და მიხვდით, რომ შეუძლებელია ასეთ ექსცესებს არ ექნეს ადგილი დღევანდელ ცხარ მოძრაობაში, მაგრამ მათ წინააღმდეგ საჭიროა ენერგიული ბრძოლა, ბრძოლა მუდამ ჟამს და ყოველ შემთხვევაში და არა მარტო მაშინ, როდესაც თქვენს წინააღმდეგ იქნება ეს ექსცესები მიმართული. გაკვეთილათ გამოიყენეთ ეს სამწუხარო და დასაგმობი გამოსვლები და კარგათ ჩაუკვირდით თვით მიტინგის შინაარსს.

ტყუილათ გგონიათ, რომ ჩვენი გამარჯვება მიტინგზე, ჩვენს „იაფი ლოზუნგებით" აიხსნება. ეს ლოზუნგები მეტათ ძვირათ გვიჯდის ჩვენ. ომის საწინააღმდეგო კამპანიის წარმოება ძალიან ძნელია დღესაც და რა იქნებოდა რევოლიუციამდე და რევოლიუციის პირველ დღეებში, როდესაც იმპერიალისტური ომის ბურანი სულ შემხუთავ მაჯლაჯუნათ დასწოლოდა მთელ ხალხს და მოწინააღმდეგე აზრს გასაქანს არ აძლევდა! ვინც არ იცის, რამდენი ფაქტი იყო ჩვენთვის საჭირო, რომ სისტემატიურათ შევებრძოლოთ ომის იდეების მოწამლულ და გაქლენთილ ატმოსფერას, ვინც არ იცის რა თავგანწირული ენერგიული მუშაობა გადავიხადეთ ამ მხრივ ხალხის და მეტადრე ჯარის გამოსაფხიზლებლათ, მას იაფათ ეჩვენება ჩვენი ლოზუნგები.

ვთქვათ, ომის საწინააღმდეგო ლოზუნგები დღეს მართლა იაფია. მაგრამ ასე იყო გუშინაც? „ომი ბოლომდის, სრულ გამარჯვებამდის"—აი გუშინდელი ლოზუნგები. „ძირს ომი"—აი დღევანდელი ლოზუნგი. მათ შორის დიდი განსხვავებაა, ისეთი განსხვავება, როგორიც არსებობს იმპერიალიზმსა და სოციალიზმს შუა. მაგრამ იმპერიალიზმი იაფათ არა სთმობს თავის პოზიციას, ის დღესაც ძლიერია და მის წინააღმდეგ კიდევ დიდი ბრძოლა გვმართებს

ომი წარმოადგენს უდიდეს საშიშროებას რევოლიუციისთვის. ჩვენ ეს შევიგნეთ და მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებისა, აქეთ მივიტანეთ ჩვენი იერიში. ცოტანი ვიყავით, ძალები გვაკლდა, მაგრამ არ შევუშინდით შრომის სიმძიმეს და სისტემატიურათ ვაწარმოებდით პროპაგანდა და აგიტაცია, როგორც სიტყვიერი, ისე ბეჭდვითი სიტყვით ამ ჯარში, სადაც ესერებს ქონდა უცილებელი ბატონობა დამკვიდრებული. ჩვენ ულმობელი [illegible] ამ წვრილბურჟუაზიულ პარტიის წინააღმდეგ და ჩვენმა სასტიკმა კრიტიკამ მიზანს მიაღწია: შეირყა მისი ბატონობა და ჯარმა მას ზურგი აქცია. მართალია, არც მენშევიკებისთვის დაგვიკლია ხელი, მათ ლოზუნგებს გააფთრებული ვებრძოდით და ესერების ავტორიტეტის დაცემას მენშევიკების დაცემაც მოყვა. მენშევიკები ესერებს გადაყვნენ. გადაყვნენ იმიტომ, რომ მეტათ მჭიდროთ დაუკავშირდენ მათ. ესერები და მენშევიკები ერთნი არიან და ჩვენ ვერ შევძლით და არც საჭიროთ დავინახეთ მათი დაშორება. ისინიც ხელი-ხელ ჩაკიდებული გვებრძოდენ ერთათ, შეთანხმებულათ, ერთათ გვესხმოდნენ თავს, ერთათ ეწეოდენ უძვგანო დემაგოგიას ჩვენს წინააღმდეგ, ერთათ გვიჭერდნენ, გვატუსაღებდენ. მენშევიკებმა წვრილ-ბურჟუაზიული ესერების პარტია არჩიეს ჩვენს თავს, გამოგვიცხადეს ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი, განზე გადადეს ყოველივე სხვა ბრძოლა, გარდა ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლისა. ჩვენ არ დავიხიეთ უკან, შეერთებულ პარტიებს მარტონი გავუმკლავდით და ბრძოლის შედეგი კვირის მიტინგზე ვიხილეთ. იმპერიალისტური ომის ლოზუნგები დაემხო და მათი ადგილი დაიჭირეს ერთა-შორის ძმობის და სოციალიზმის ლოზუნგებმა.

ეს სასიხარულო მოვლენა უნდა იყოს ყველა მათთვის, ვინც მართლა წინააღმდეგია ომის. მაგრამ არ შეიძლება ომი მტერი იყოს და მის წინააღმდეგ კი ხელი არ გაანძრიო. გაიგეთ და შეიტყვეთ, რომ ომის წინააღმდეგ ბრძოლა გვმართებს და არა მხარის დაჭერა, მისი იმპერიალისტური მიზნების გამომჟღავნება, ხალხის თვალში მათი სახელის გატეხა და არა მიჩქმალვა, სახელის გაკეთება. მთავრობის მიერ დაწყებული იერიშები კი ომის გაძლიერებაა, იმპერიალიზმის გამაგრებაა, კონტრ რევოლიუციის წისქვილის აბრუნებაა.

რა რეზოლიუციით მოვიდნენ ამ საკითხზე მენშევიკები? ჩვენი მიზანი უწინარესათ ზავია, თავდასხმა კი მსოფლიო ომის

ამნაირ საგნებზე, რომელიც მეფის მთავრობას არ მოეწონებოდა.

მარა დადგა დრო, და ძველმა—კუმფები გამოჰყო... „დაშნაკცუტიუნი“ გადაიქცა „სოციალისტურ“ პარტიათ და გამოაქვეყნა თავისი შესწორებული, უკეთ, გადასხვაფერებული პროგრამა, სადაც იზიარებს, სხვათა შორის, სოციალიზმის იდეალს.

საყურადღებო მოვლენაა ეს, ბურჟუაზიული იდეალიზმით გაჟღენთილი პარტია, რომელიც დაცინვით შეჰყურებდა მათ, ვინც ქადაგობდა კლასთა ბრძოლაზე დაფუძნებულ სოციალიზმს, დღეს მორჯულებულა და გაიძახის:

„სოციალიზმი ზნეობრივი იდეალია ახალ ისტორიაში და უდიდესი ხელმძღვანელი იდიალიც ჩვენი დროის საზოგადო ცხოვრებისთვისო“.

ახლა, მე მსურს ამხანაგ მუშებს გავაცნო ის „შესწორება“, რომელიც შეაქვთ სოციალიზმის იდეალში ჩვენ „სოციალისტებს“, დაშნაკცუტიუნებს.

გაზეთი „აშხატავორი“ (მომუშავე) № 3-ში სწერს:

„სხვის მონაგებით მცხოვრებ, მუქთახორა ადამიანთა უზნეობა უთმობს ადგილს თვისი ოფლით მცხოვრებ მომუშავე და წამებულ ხალხის ზნეობას.

კაპიტალისტურ გამყვლეფ და მძარცვავ ანარქიულ საზოგადოების ნაცვლათ მყარდება სოციალისტურ თანაგრძნობაზე აგებული საზოგადოება“.

ნუ დაივიწყებთ, ამხანაგებო, ამას გაიძახიან ისინი, ვინც ეწინააღმდეგება რევოლიუციონურ ს.-დემოკრატიის ტაქტიკას. ამას იზიარებენ ისინი, ვინც შეერთებული და შეკავშირებული ბურჟუაზიასთან ლენინს და საზოგადოთ ბოლშევიკებს სთვლიან ანარხისტებათ, დეზორგანიზატორებათ. ერთი მხრით „დაშნაკელები“ გაიძახიან, რომ ბურჟუაზია დაეცა და მის ადგილას დადგა პროლეტარიატი, მეორე მხრით კი არ უნდათ შეიგნონ, ბოლშევიკების ის მოთხოვნილება, რომ ძალა-უფლება გადავიდეს მუ[illegible] ჯარისკაცთა დეპუტატების ხელ[illegible] რომ სოციალიზმი გან[illegible] თან ეწინააღმდეგება [illegible] მოთხოვნილებას, რომ [illegible]ობის კანტროლი გადაეცეს მუ[illegible] კლასს.

ამის თქმას ვერ ბედავს „დაშნაკციუტუნი“. ის არაა მუშათა პარტია, არამედ ბურჟუაზიულია. ის ცდილობს როგორმე დააკავშიროს, შეარიგოს მუშა და ბურჟუა. იქვე სწერია:

„სოციალიზმი არა-კლასიური იდეალია, არამედ მთელი კაცობრიობის, ის თავისუფლებას და ბედნიერებას ჰპირდება მთელ კაცობრიობას, ყველას ერთათ. და ამიტომ სოციალიზმს ელტვის არა მარტო მუშა, არამედ სხვა კლასებიც.

გესმით, ამხანაგებო, მარტო თქვენ არა ყოფილხართ სოციალიზმის მონატრული და მატარებელი, თქვენთან ერთით მისკენ მიილტვის ყველა—ბურჟუა და მემამულეც. გავიხსენოთ კ. მარქსის სიტყვები:

„დღემდის ყოფილი ყველა გაბატონებული კლასები ცდილობდენ შეენარჩუნებიათ ხელთნაგდები თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობა“...

და თუ ეს ასეა, საიდგან წარმოდგება ბურჟუაზიის ლტოლვილება, რომ სოციალიზმი დამყარდეს. წარმოსადგენია ოდესმე, რომ ბურჟუაზიამ, როგორც მთელმა კლასმა, თავისი ნებით თავისი ქონება და მონაგები გაუნაწილოს მუშას? არასოდეს! ბურჟუა ცდილობს პირიქით მუდამ და ყველა გარემოებაში, რომ ქონებაზე ქონება შეიძინოს და ყვლიფოს მუშა ხალხი.

ცხადია, რომ „დაშნაკცაკანების“ სოციალიზმი ნამდვილი ოცნებაა...

მარა, სხვაფერ არც შეუძლია „დაშნაკცუტუნს“, ვინაიდან ის ბურჟუაზიული პარტიაა და არა მუშათა, იგი ნაციონალისტური პარტიაა და იცავს არა მარტო მუშის (?) არამედ უმეტესათ ბურჟუაზიის ინტერესებს. ამიტომ ის ჰეშმარიტ მეცნიერულ სოციალიზმს ასხვაფერებს და მუშებს ატყუებს.

ნ. გიურჯიანც.

## კიდევ მანიფესტაცია—მიტინგი 25 ივნისს.

მუშათა და სალდათთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, კვირას 25 ივნისს გაიმართა მშვიდობიანი მანიფესტაცია—მიტინგი. 2 ნახ. საათზე, ერევნის მოედანზე მოგროვილ ურიცხვ სალდათების მრავალ წითელ დროშებს ასეთი რევოლიუციონური წარწერები აშვენებდა: „ძირს ომი“, „ძირს ათი მინისტრი კაპიტალისტები“, „მთელი ძალა-უფლება მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოების ხელში“, „ძირს კერენსკის ანტი-დემოკრატიული ბრძანებები ჯარის კაცების წინააღმდეგ მიმართული“, „გაუმარჯოს ფრონტებზე დაძმობილება-დამეგობრებას“, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“, „გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, „გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას, „ძირს შეტევა, ძმათა სისხლის ღვრა იმპერიალისტ-კაპიტალისტების ინტერესების გულისთვის გამოწვეული!“ და მრავალი სხვა ასეთები.

ამ დღეს გამოაშკარავდა სრული გაკოტრება თფილისის მენშევიკ-„ობორონცების“ არა მარქსისტულ-რევოლიუციონური პოზიციისა. და ეს აქ, თფილისში, სადაც განსაკუთრებული ძლიერების „ტახტი“ დაუდგამს მენშევიზმს!

მწყობრათ მიმავალ ხალხს ამშვენებდა მუზიკა, რომელიც რევოლიუციონურ სიმღერას, მარსელიოზას უკრავდა.

აღნიშნულ ადგილას, თავისუფლების მოედანზე, ერთობ ბევრი ხალხი შეგროვილიყო; ტევა არ იყო თითქმის. იქ დამხვდურმა მრავალ-რიცხოვანმა ამხანაგებმა თავიანთი მრავალი წითელი დროშებით ბოლშევიკურ ლოზუნგებით წარწერილი, მისალმების შემდეგ სთხოვეს ერთხმათ, არ შეჩერებულიყვნენ აქ, განეგრძოთ გზა იქით, მახლობელ, ფართო მინდორისაკენ.

აქ მოხდა სამწუხარო ინცინდენტი... უმთავრესი მისი გამომწვევი მიზეზი,—როგორც თვით მაყურებელი გულწრფელი მენშევიკები ადასტურებდენ,—იყო საბჭოს პროპაგანდისტთა კოლეგიის მიერ გამოცემული სა-გვარი პროკლამაციები, რომლებშიც მხოლოდდა ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული უმზგავსო ლანძღვა და ცილის წამება იყო აღბეჭდილი, რომ ყველა მიუდგომელ წამკითხველს აუცილებლათ აფიქრებინებდა:—ამ ვაჟბატონებს დღეის ლოზუნგათ მხოლოთ ბოლშევიკების ლანძღვა-თრევა და მისი დამცირება დაუსახავთ. მრავალ ამხ. სალდათთაგანს ეჭირა ხელში ეს პროკლამაციები,—ხაზგასმული იმ ადგილას, სადაც ცენტრალურ ორგანოს გაზეთ «პრავდას» შესახებ იყო დაწერილი. მოთმინებიდან გამოსული სალდათები უჩვენებდენ მოწინააღმდეგეებს და ეუბნებოდენ მათ: „Вы идете противъ «Правды»! значитъ вы идете противъ пролетаріата,—защищаете буржуазію, въ мѣстѣ съ ними, отъ имени пролетаріата проповѣдываете истребленіе пролетаріата“! აი, ის მეტად სამწუხარო, დასაგმობი საქციელი, რომელიც, ჩემის ღრმა რწმენით, მოწინააღმდეგეებმა თავიანთ პროვოკაციული ფურცლებით გამოიწვიეს.

ამხანაგებმა მიიღეს აქტიური ზომები, და ინცინდენტს ლიკვიდაცია უყვეს.

მიუხედავათ ყველა ამისა, მანიფესტაცია არ დაშლილა, მიტინგი არ შეწყვეტილა ოდნავ. ორივე ალაგას სწარმოებდა ორატორთა ცხარე ლაპარაკი, მსჯელობა მომენტიდან წამოყენებულ საჭირ-ბოროტო კითხვების შესახებ.

ბოლშევიკების რეზოლიუცია შეტევის შესახებ კრებამ ერთხმათ მიიღო ორივე ადგილას. შემდეგ კრება მშვიდობიანათ, წითელი დროშებით ქალაქისაკენ გამოემართა.

—სტი.

ერთი ეპიზოდია, რომელიც ვერ სცვლის ჩვენს მიზანს და ჩვენ მხარს ვუჭერთ რევოლიუციონურ ჯარსო.

ნუ თუ არ შეგრცხვათ თქვენი თავის, როდესაც წარსდექით მრავალ ათასი ჯარის წინაშე, რომელიც თქვენგან დაწყებული შეტევის გარკვეულ შეფასებას მოელოდა? რას ნაშნავს „თავდასხმა ვერა სცვლის ჩვენს მიზანსო“? ალბათ იმას, რომ რაც უნდა მოხდეს, ჩვენ მაინც ჩვენსას ვიძახებთო! მაშ ელიტონ პროლეტარებმა ერთმანერთი, თქვენ ის განუგეშებთ, რომ თუთუყუშივით შეგიძლიათ იძახოთ—უანექსიო ზავი გვინდაო! ეს ხომ ფარისევლობაა, პილატისებური ხელის დაბანაა და რაღა გასაკვირველია, რომ ხალხმა (და არა მარტო ჯარმა) არ მიიღო თქვენი ლოზუნგი და აშკარათ დაგინახვათ თქვენ, რომ პრინციპის მიღება არ უნდა ნიშნავდეს იმავე პრინციპის უარყოფას. დააფასებთ კი თქვენ ამ ფაქტს? საეჭვოა.

კვირის მატინგს ის ახასიათებს, რომ თვით ხალხი შეგნებულათ გამოვიდა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ამას მოწმობს როგორც თვით ხალხის დამზადებული მრავალი დროშა და მათზე აღნიშნული წარწერები, აგრეთვე ის ღრმათ დასაბუთებული სიტყვები, რომელსაც ტრიბუნებიდან ისმენდა ხალხი თვით ჯარისკაცთა პირიდან. „ერთობაც“ კი სწერს: „საზოგადოთ ჯარისკაცთა უმრავლესობას ბოლშევიკების მიტინგზე თავი გაცილებით შეკავებულათ ეჭირათ, ვიდრე თვით ლიდერებს“, „უკეთუ თვით შეგნებული ჯარისკაცები კეთილ-გონიერებას არ გამოიჩენდენ“ მენშევიკებს იქვე გასრესდენო. თქვენ მარტო ექსცესების უარყოფის თვალსაზრისით მოგწონთ იმ დღეს აქტიურათ გამოსული ჯარისკაცები. დაგეგდოთ მათი ლაპარაკისთვის ყური და უფრო მეტს საგულისხმიეროს გაიგებდით. თქვენ მიხვდებოდით, რომ სალდათმა დღეს უკვე დაიწყო შეგნებული პოლიტიკური ცხოვრება და მას ვერა-რა შეაჩერებს. ჩვენ ვამაყობთ, იმ დღეს გამოსული ორატორი—ჯარისკაცები, ეს საუკეთესო ჯილდოა ჩვენ მიერ აქამდე წარმოებული მუშაობისა.

ჩვენ სრულიად არ გვაშინებს მენშევიკების დემაგოგიური ფანდები: „ეჭვს გარეშეა, ბნელი ელემენტები, რომელნიც ბოლშევიკთა გარშემო იკრიბებიან, თანდათან ძალღონეს მოიკრებენ და რევოლიუციის დასამარებას შეეცდებიან“. („ერთობა“ № 83). ჩვენი ღრმა რწმენით, ყველა ის ელემენტი ბნელი და შეუგნებელია, რომელსაც არ ესმის ამ რევოლიუციაში თავისი კლასობრივი ინტერესი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია, რა ხიფათს უმზადებს იმპერიალისტური ომი რევოლიუციას. მათი ენერგიული ზომებით ჩაკვლა კი არ არის საჭირო, როგორც „ერთობა“ ფიქრობს, საჭიროა მათთან მისვლა სოციალიზმის დიადი მოძღვრებით, საჭიროა მათი გაღვიძება, გათვითცნობიერება და რევოლიუციის გარშემო დარაზმვა. მთელი ჩვენი ძალღონით ჩვენ ამ მიზანს ვემსახურებით და მით კონტრ-რევოლიუციას ვებრძვით ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს ნაცად გზას, რომელიც ერთათ-ერთი ემსახურება რევოლიუციას და შიშის ზარსა სცემს მის მტრებს. ჩვენი დროშა წმინდაა, მის ქვეშ შეკრებილთა ენერგია დაულეველი, ჩვენი თავდადება გაამარჯვებინებს მას, თუ საჭირო იქნება, მის ქვეშ გავწყდებით.

წინ დიდი ბრძოლა გველის, რევოლიუცია თანდათან ღრმავდება, დიდ ენერგიას მოითხოვს, უბრალოთ ნუ ხარჯავთ ძალას, დაწყნარდით, ნერვები დაიმშვიდეთ!..

ჩვენებური.

# მუშათა წერილები.

### სიტყა რამ ამხ. გ. ჩხეიძის გამო.

სწორედ საცოდავ მდგომარეობაში არიან ჩვენი მენშევიკები. კაცი რო დაუფიქრდეს და წუთით შეაყენოს მათზე გონება, უნებლიეთ სიცილი მოუვა. აი, სანამდის მივიდა მათი იდიეური ბრძოლა: მახლობელ № „ერთობაში“ იყო ჩამოწერილი რუსეთის ბურჟუაზიული გაზეთების სახელები და უთითებდენ, მკითხველთ: ყველა ესენი ბოლშევიკებს პროვაკატორებს უწოდებენო! რა თქმა უნდა თვით „ერთობაც“ იზიარებდა იმ შეხედულებას, რადგან ისე გულდასმით აღნუსხავს და ეს გარემოება-კი მათ ახარებთ და გვეტრაბახებიან: აი, ჩვენი აზრისანი არიანო!.. ჰაი, ჰაი, რომ მათი აზრისანი არიან ბურჟუაზიული გაზეთები, სწორეთ მაგასა ვჩივით ჩვენ ბოლშევიკები!

ახლა გადავიდეთ ამხანაგ გიორგი ჩხეიძეზე, აი, რასა სწერს „ერთობის“ № 75 „იქსი“ სათაურით: „მოიჯარადრის წერილები“. ასეთი წერილები თფილისის ლენინელების ქართულ და რუსულ გაზეთებში იწერებაო. მას ყავსო ერთი უკიდურესი სოციალდემოკრატი, სახელდობ გიორგი ჩხეიძეო. მარა თავის წერილებს მაინც მუშის წერილებათ ნათლავსო. გუშინ ეს ვაჟბატონი პარტიულ მუშაობას გაურბოდა, პოდრათებს იღებდა და კარგა მოზრდილი ქონებაც მუშების გაყვლეფით შეიძინაო, მენშევიკები კი ბრძოლას ეწეოდენ ციხეში და ციმბირში მიდიოდენ ამ დროსო“ მეც მინდა შევეხო ამხ. გიორგი ჩხეიძეს. სამწუხაროთ, მთელი მისი ბიოგრაფია არ ვიცი, მაგრამ 1905 წლიდან 1916 წ. ცოტა რამ შემიძლია ვაცნობო მკითხველთ. 1905 წელში ოქტომბრის მანიფესტის ძალით, თუ არ ვცდები, სხვა ჩვენ ამხანაგებთან ერთათ გიორგიც იყო დაბრუნებული სამშობლოში და რა თქმა უნდა, მიიღო თვისი ძველი სამუშავო რკინის გზის დეპოში თფილისში. მერმე ე. ი. 1909-ში გიდევ დაჭერილი იყო და გაგზავნილი. მისი ცოლ-შვილი კი, ყველასათვის ცხადია, დარჩა ღვთის ანაბარა, რომ იტყვიან,—რასაც გვიმოწმებს მისი ცოლის მუშაობა ენფიანჯიანცის ფაბრიკაში. 1915—1916 ჩამოდის გიორგი განთავისუფლებული, დადის სამუშაოთ სამღებრო საქმეზე. კერძო ოთახებში. ბოლოს სხვისი დახმარებით ღებულობს კახეთის რკინის გზაზე სამღებრო იჯარას. და, აი, რადგან ამხანაგმა გიორგიმ იჯარა აიღო, ამიტომ მთელი მისი სოციალისტობაც მორჩა და ბოლშევიზმიც დამარცხდა. საცოდავი იქსი! ნამდვილი კრილოვის მსაჯულს გამოხატავს, „ვირი და ბულბულში“ რომ არის მოყვანილი. ასე ერთი კალმის მოსმით გააქარწყლა ამხანაგ გიორგის ღვაწლი ძველი და ახალი. მე კი ასე ვიტყვი: რომ ამხ. გიორგი ღალატობდეს სოციალიზმს თქვენსავით თქვენი უტაქტიკობის გამო, მართლა ბოლშევიკური ტაქტიკას არ დაადგებოდა და მით ოპოზიციაში არ ჩაუდგებოდა რეაქციონერ ბურჟუაზიას, ბატონო „იქსო“! უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, თქვენი მუშაობა იმ მხრივ, რომ ტაქტიკურ კითხვებზე შეჩერებულიყავით და ლოღიკური დასკვნა გამოგეტანა, ვინემ ნაცარქექიული კინკლაობას დროს შესწიროთ. ასე რომ თქვენ გზას რომ დავადგე და ვწერო, მენშევიკების ბინაკსა და თვით კოლექტივში არსებულ პირებზე, გაზეთის ფურცლები მას მოუნდება და ამ გზით კი, ჩემი შეხედულობით, სარგებლობას კი არა, დემორალიზაციას შევიტანთ ფართო მასაში, რაც საერთო იდეისთვის დიდი მაზარალებელია. ამიტომ მოგიწოდებთ, მეტი ენერგია საქმიანობისათვის, მაგრამ რას ვამბობ! ასე რომ არ მოიქცენ მენშევიკები, მაშ როგორღა უნდა შეინარჩუნონ უკვე ლტოლვილი მუშები! ვნახოთ! ახლო მომავალი დაგვანახვებს გიორგი ჩხეიძის „არა სოციალისტობას“.

ხელს ვაწერ მუშას, თან ვფიქრობ: ახლა მე არ ამიტყდეს ვინმე და მითხრას: ამა და ამ დროს ზინგერის აგენტი იყოვო! მაგრამ მე მაინც მოვაწერ, ვნახოთ, იქნებ არ დამიმალონ!

მუშა ვანო ჯიჯელავა.

# წერილები სოფლიდან.

### რევოლიუცია სოფლათ.

რუსეთის რევოლიუციის მოხდენის [illegible]-უმალ შეინძრა და წელში გაიმართა მრავალ-ტანჯული და ხალხის გამანადგურებელი, ომის წყალობით, ბოგანოთ ქცეული ჩვენი გლეხკაცობა. მთელი საუკუნოებით მის გულის სიღრმეში საიდუმლოთ დამარხული მოლოდინი და იმედები ცხოვრების გარდაქმნა-განახლებისა, პოლიტიკურათ განთავისუფლება თვით უყრობელობის ბრჭყალებიდან, განთავისუფლება ეკონომიურათ ერთი მუჭა მემამულეთა ბატონობისაგან, გლეხკაცობისათვის თითქოს სინამდვილეთ იქცა. სწრაფათ მოედო ჩვენს ბედშავს და ცხოვრებისაგან მოძულებულს სოფელს ის სხივ მომფენი სინათლე, რომელიც რუსეთის დიდი რევოლიუციის შექმნით მრავლათ და ნაყოფიერად მთელს რუსეთის თვალგადაუწვდენელ სახელმწიფოს ყველა კუთხეს მოეფინა. გალატაკებულმა ჩვენმა სოფელმა ახლა კი თავისუფლათ ამოისუნთქა და რუსეთის რევოლიუციის საერთო ფერხულში ჩაბმა მოიწადინა. მაგრამ ქართველი გლეხკაცობისათვის 1905 წლის განცდანი და საგრძნობი დღეს მისთვის ერთიანად დაკარგული გამოდგა. აღარ არის სოფლათ ის რევოლიუციონური აღფრთოვანება, გატაცება, ის რევოლიუციონური ცეცხლი, რომლითაც გლეხკაცობა იხე უხვათ იყო დაჯილდოვებული 1905 წელს და ლამის არის დღევანდელმა დიდმა რევოლიუციამ ისე გაიაროს, რომ ჩვენმა გლეხობამ ეს რევოლიუცია ყურადღების ღირსაც არ გახადოს. განა ამიტომ ელოდა ის მოუთმენლად რუსეთის რევოლიუციას, რომ შემდეგ არაფერი ინტერესი ჰქონოდა მისი? ჩვენი გლეხობა განა იმიტომ იტანჯა ასი და ორასი წლები, თავისუფლებისთვის ბრძოლაში ადიოდა სახრჩობელაზე, თავის ძვლებს კატორგასა და ციმბირის საყინულეთა უდაბნოებში ჰყრიდა, რომ დღეს რევოლიუციისადმი ყრუ და უსიტყვო დარჩენილიყო? ჩვენ ვამბობთ, საქმე რომ მარტო გლეხკაცობაზე ყოფილიყო მიმდგარი, სოფლად ამგვარ გულგრილობას და დაუდევრობას ადგილი არ ექნებოდა. როგორც ვიცით, წარსულს 1905 და შემდეგ წლების რევოლიუციონურ ხანაში ჩვენი გლეხკაცობა თავისი დიდი უმრავლესობით იმყოფებოდა სოციალდემოკრატიის დროშასა და გავლენის ქვეშ და დღესაც ამ პარტიის დაუკითხავათ არ მოისურვა მან რამე რევოლიუციონური ნაბიჯი გადადგა წინ. გაჩნდნენ სოფლათ მენშევიკ-„ობორონცები“ და რევოლიუციის საქმე თავისებურათ გამოიყენეს, სანამ არ იყო რევოლიუცია, მენშევიკები რევოლიუციაზე ყვიროდნენ, იმისათვის ჯვარს ეცმოდნენ და როგორც გაჩნდა რევოლიუცია თითქოს მისი დანახვისა შეეშინდათო, დღეს ქალაქში მუშას და სოფელში გლეხს პირზედ ხელს აფარებენ, სიტყვით და საქმით უკრძალავენ რევოლიუციის შემდეგ განვითარებასა და გაღრმავებისათვის მუშაობას. სოფელში გლეხს მემამულეთა მიწის თავისუფლათ სარგებლობა აეკრძალეს. სამაგიეროთ გლეხს იეცა უფლება მორიგებოდა მემამულეებს და თუ უკანასკნელი რამეს გაიმეტებდა გლეხისათვის, გლეხიც უნდა კმაყოფილი დარჩენილიყო. ყველგან და ყველაფერში მორიგება, პოლიტიკურსა და ეკონომიურს ნიადაგზე გამართული ვაჭრობა. აი ის სენი, რომელიც დღიდან რუსეთის რევოლიუციის გაჩენისა ჩვენს მენშევიკ-„ობორონცებს“ დასჩემდათ. არ გაბედო მემამულეების მიწის ძალით მოხვნა, ბილახის მოთიბვა, არ გაბედო შენი შრომისა და ოფლის მითვისება, არამედ იმუშავე ისევ მემამულეებსა და მებატონეებისათვის, უზიდე ისევ ძველებურათ მათ ურმებით შენი სარჩო-საბადებელი, ეუბნებიან დღეს სოფლათ მენშევიკები ხალხს, და მალე მოვა დამფუძნებელი კრება და ის შენს საქმეს მზა მზარეულათ ჩაგაბარებსო. ამაზე შორს, მგონია, ჯერ თვით მემამულენი და ბურჟუაზიაც არ წასულან. დღეს სოფლათ ბრძანებას სცემს სამანისტრო, რომ გლეხმა მიწას ხელი არ ახლოს და ასეთ ბრძანების ცხოვრებაში გამტარებელნი კი მენშევ.-„ობორონცებია“. მთელი რევოლიუციონური მუშაობა მენშევიკებისა სოფლათ. აი ამგვარ კანცელიარულ საქმიანობაზეა დახურდავებული და ყველა ის მომრიგებელი კამერები, ნორმის დაწესება ღალასა და ნათიბზე, მხოლოდ გაუგებრობასა და უკმაყოფილებას იწვევს ხალხში. რითი გათავდება გლეხებსა და მემამულეებს შორის ატეხილი დავა, ამას მომავალი გვიჩვენებს, მხოლოდ ვიტყვი, რომ მემამულენი დაიმედებულნი არიან, რომ მიწა მათ უსასყიდლოთ არ ჩამოერთმევათ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მენშევ.-„ობორონცები“ მიწების გამოსყიდვის შესახებ მომავალ დამფუძნებელ კრებაზეც მოილაპარაკებენ.

—ძე.

### შეცდომის გასწორება.

„ბრძოლის“ მე 5 №-ში „მუნიციპალური პროგრამაში“: შეერთებული სწავლა-განათლების შესახებ უნდა იყოს: „შეერთებული წარმოებასთან“.